| Profy Business — B2B Privacy Policy | Profy Business — B2B პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის პოლიტიკა |
|---|---|
| Homejini LLC (ID: 405259401) controls business customer personal data through the Personal Data Protection Officer.<br><br>For the purposes of this Policy, "we" means Homejini LLC, the operator of Profy Business (business.profy.ge). | შპს „ჰოუმჯინი“ (ს/კ 405259401) ბიზნეს მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მეშვეობით.<br><br>წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, „ჩვენ“ გულისხმობს შპს „ჰოუმჯინი“-ს, Profy Business-ის (business.profy.ge) ოპერატორს. |
| **1. Data Collected** | **1. დამუშავებას დაქვემდებარებული მონაცემები** |
| • Company name, ID number, legal address<br>• Authorized representative’s name, surname, ID, contact details<br>• Bank account and payment information<br>• Service order details (location, date, time, scope)<br>• Dispute and claim information<br>• Device and browser identification data for portal access | • კომპანიის სახელწოდება, ს/ნ, იურიდიული მისამართი<br>• უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პ/ნ, საკონტაქტო მონაცემები<br>• საბანკო ანგარიში და საგადახდო ინფორმაცია<br>• შეკვეთის დეტალები (ადგილი, თარიღი, დრო, მოცულობა)<br>• დავებისა და პრეტენზიების ინფორმაცია<br>• მოწყობილობისა და ბრაუზერის საიდენტიფიკაციო მონაცემები |
| **2. Purpose of Processing** | **2. დამუშავების მიზანი** |
| • Connecting business customers with service providers for order fulfillment<br>• Processing payments through BPD’s Payment Gateway<br>• Communicating service updates, scheduling, and support<br>• Generating invoices and financial reporting<br>• Resolving disputes and quality-related issues<br>• Platform improvement and analytics (in anonymized form) | • ბიზნეს მომხმარებლების დაკავშირება სერვის პროვაიდერებთან შეკვეთის შესრულებისთვის<br>• გადახდების დამუშავება BPD-ს გადახდის სისტემით<br>• სერვისის განახლებების, დაგეგმვისა და მხარდაჭერის კომუნიკაცია<br>• ფაქტურების გენერირება და ფინანსური ანგარიშგება<br>• დავებისა და ხარისხის საკითხების გადაწყვეტა<br>• პლატფორმის გაუმჯობესება და ანალიტიკა (ანონიმიზებული ფორმით) |
| **3. Legal Basis** | **3. სამართლებრივი საფუძველი** |
| Personal data processing is based on:<br>• The Agreement between the Customer and Profy (contractual necessity)<br>• Legitimate interests (fraud prevention, service improvement)<br>• Legal obligations (tax reporting, regulatory compliance) | პერსონალური მონაცემების დამუშავება ეფუძნება:<br>• მომხმარებელსა და პროფის შორის ხელშეკრულებას (სახელშეკრულებო აუცილებლობა)<br>• კანონიერ ინტერესებს (თაღლითობის პრევენცია, სერვისის გაუმჯობესება)<br>• სამართლებრივ ვალდებულებებს (საგადასახადო ანგარიშგება, რეგულაციებთან შესაბამისობა) |
| **4. Data Sharing** | **4. მონაცემების გადაცემა** |
| • Shared with Service Provider (BPD) for order fulfillment<br>• Shared with Workers only: company name, service address<br>• May be shared with Profy group companies and partners<br>• Disclosed to authorities only when required by law (court | • გადაეცემა სერვის პროვაიდერს (BPD) შეკვეთის შესრულებისთვის<br>• ხელოსნებს გადაეცემა მხოლოდ: კომპანიის სახელი, სერვისის მისამართი<br>• შესაძლოა გადაეცეს პროფის ჯგუფის |

| | |
|---|---|
| order, subpoena) | კომპანიებს და პარტნიორებს<br>• სახელმწიფო ორგანოებს გადაეცემა მხოლოდ კანონით მოთხოვნილისას |
| **5. Data Security** | **5. მონაცემთა უსაფრთხოება** |
| Data is stored in data centers within the European Union (Zone Media Ltd. and/or Amazon Web Services, Inc.). Access is limited to authorized personnel only, for the purpose of service-related issue resolution. | მონაცემები ინახება ევროკავშირის მონაცემთა ცენტრებში (Zone Media Ltd. და/ან Amazon Web Services, Inc.). წვდომა აქვს მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, სერვისთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად. |
| **6. Data Retention** | **6. მონაცემების შენახვა** |
| • Financial data: 7 years from last order<br>• Accounting records: 7 years<br>• Order history: 3 years (then anonymized)<br>• Contact data: duration of active account + 1 year<br>• Suspected fraud cases: 10 years<br>• Payment dispute data: until resolution or statute of limitations | • ფინანსური მონაცემები: 7 წელი ბოლო შეკვეთიდან<br>• ბუღალტრული ჩანაწერები: 7 წელი<br>• შეკვეთების ისტორია: 3 წელი (შემდეგ ანონიმიზდება)<br>• საკონტაქტო: აქტიური ანგარიში + 1 წელი<br>• თაღლითობის საეჭვო შემთხვევები: 10 წელი<br>• გადახდის დავები: გადაწყვეტამდე ან ხანდაზმულობამდე |
| **7. Data Subject Rights** | **7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები** |
| You have the right to:<br>• Access your personal data through the Business Portal<br>• Request correction or update of inaccurate data<br>• Request deletion of personal data (requires account closure)<br>• Request data portability (delivered within 1 month)<br>• Object to processing for direct marketing purposes | თქვენ გაქვთ უფლება:<br>• წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე ბიზნეს პორტალის მეშვეობით<br>• მოითხოვოთ არაზუსტი მონაცემების გასწორება ან განახლება<br>• მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების წაშლა (მოითხოვს ანგარიშის დახურვას)<br>• მოითხოვოთ მონაცემების გადატანა (1 თვეში)<br>• გააპროტესტოთ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავება |
| **8. Direct Marketing** | **8. პირდაპირი მარკეტინგი** |
| We may use your email address and/or phone number for direct marketing if you have given consent through the portal. You may unsubscribe at any time via the “Unsubscribe” link or portal settings. | თქვენს ელ. ფოსტას და/ან ტელეფონის ნომერს გამოვიყენებთ პირდაპირი მარკეტინგისთვის, თუ პორტალის მეშვეობით თანხმობას განაცხადებთ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამოწეროთ “Unsubscribe” ბმულით ან პორტალის პარამეტრებით. |
| **9. Dispute Resolution** | **9. დავების გადაწყვეტა** |
| Privacy-related disputes: contact customer support at info@profy.ge.<br><br>Supervisory authority: State Inspector’s Service (Personal Data Protection), email: office@pdp.ge. | კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული დავები: მიმართეთ info@profy.ge.<br><br>საზედამხედველო ორგანო: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, ელ. ფოსტა: office@pdp.ge. |
| Homejini LLC (ID: 405259401)<br>Address: 24 University St., Tbilisi, Georgia<br>Email: info@profy.ge | შპს „ჰოუმჯინი“ (ს/კ: 405259401)<br>მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N24, თბილისი<br>ელ. ფოსტა: info@profy.ge |